დიკ ფრენსისი

სისხლიანი სპორტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2010

“BLOOD SPORT” by Dick Francis
„სისხლიანი სპორტი“. დიკ ფრენსისი

მთარგმნელი: ქეთევან ქანთარია
რედაქტორი: ლალი ქადაგიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქეთევან ღონღაძე

Copyright © Dick Francis 1967

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2010 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-019-4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

რიჩარდ სტენლი ფრენსისი ანუ, როგორც ის საყოველთაოდ ცნობილია, დიკ ფრენსისი ორმოცზე მეტი საერთაშორისო ბესტსელერის ავტორია, რომლების უმეტესობა ცხენოსნობის სამყაროში მიმდინარე მოვლენებს აღწერს. თავად ყოფილი ჟოკეი, ფრენსისი კარგად იცნობს სპორტის ამ სახეობას და ზედმიწევნით იცის ყველა აქაური წყალქვეშა დინება, ყველა დაწერილი თუ დაუწერელი წეს-კანონი, სპორტსმენებისა და სპორტის ფუნქციონერების რთული ურთიერთობების აღმართ-დაღმართები. სწორედ ამიტომაა, რომ ცხენოსნობაში გაუცნობიერებელი მკითხველიც კი ფრენსისის გარემოში თავს ისე გრძნობს, თითქოს ცხოვრებაში დოღი არ გაუცდენია. მსუბუქი სტილი, უაღრესად დაძაბული და ჩახლართული ფაბულა, შეჯერებული ხალისიანი იუმორით — ეს ყველაფერი ფრენსისის ყოველ რომანს დაუვიწყარ თავგადასავლად აქცევს.

ფრენსისი ერთადერთი მწერალია, ვინც სამჯერ დაჯილდოვდა ამერიკის ედგარის პრიზით წლის საუკეთესო რომანისთვის. ეს რომანებია „სასჯელი“, „შოლტიანი ხელი“ და „უიღბლობა“. ბრიტანეთის დეტექტივების მწერალთა ასოციაციამ 1979 წელს ის „ოქროს დაშნით“ დააჯილდოვა საუკეთესო რომანისთვის, 1989 წელს კი — „კარტიეს ბრილიანტის დაშნით“ სიცოცხლის განმავლობაში მიღწეული წარმატებებისთვის. 1996 წელს ამერიკის დეტექტივების მწერალთა ასოციაციამ ფრენსისი თავისი უმაღლესი პრიზით, „დიდოსტატის პრემიით“ დააჯილდოვა. 2000 წელს კი ბრიტანეთის დედოფალმა მას ბრიტანეთის იმპერიის ორდენი გადასცა.

დიკ ფრენსისი ამ წიგნის გამოცემამდე რამდენიმე თვით ადრე, 2010 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა. წიგნის მომზადების პერიოდში მან არაერთხელ შემოგვითვალა მოკითხვა და სურვილი გამოთქვა, ქართულ ენაზეც ეხილა თავისი ნაწარმოებები. სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. ჩვენ კი სიამაყით ვიწყებთ დიკ ფრენსისის დეტექტივების გამოცემას და ყველა გამოცემულ რომანს ამ უაღრესად ნიჭიერი მწერლის ხსოვნას ვუძღვნით.

თავი პირველი

უბედურების წინათგრძნობით გამეღვიძა. ხელმა ინსტინქტურად მოძებნა ბალიშის ქვეშ დამალული პისტოლეტი. სუნთქვაშეკრულმა მივაყურადე. არსაიდან არაფერი ისმოდა. არც ფეხის ჩუმი ხმა იატაკზე, არც თეთრეულის შარიშური, არც გულისცემა. არც მტერი ჩანდა სადმე. ნელა გადავბრუნდი და ოთახს თვალი მოვავლე, მშვიდ, ცარიელ, მოუვლელ ოთახს. ეს ოთახი მესამედი იყო იმისა, რასაც მე, სხვა სიტყვის უქონლობის გამო, ჩემს ბინას ვუწოდებდი.

თხელ ვარდისფერ ფარდებს შორის კაშკაშა მზის სხივები იპარებოდა, შუქი ძველ, იაფფასიან ხალიჩას ბილიკივით ეფინებოდა. ვარდისფერი არასდროს მყვარებია, მაგრამ სახლის პატრონთან კამათს და ამაზე დროის ხარჯვას აზრი არ ჰქონდა. აქ ცხოვრების რვათვიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სანამ ნივთი საბოლოოდ ჭირს არ წაიღებდა, ამ ბინაში არასდროს არაფერი შეიცვლებოდა.

მშვიდი და მზიანი დღე იდგა, მაგრამ უბედურების წინათგრძნობა თავს არ მანებებდა, მთელ არსებაში გამიჯდა და მართალია, ნაკლებად მაფორიაქებდა, მაგრამ სამაგიეროდ დამთრგუნველად მოქმედებდა. კვირა, 20 ივნისი. სამკვირიანი შვებულების დასაწყისი.

მუცელზე გადავბრუნდი და თვალები დავხუჭე. ხელი ბალიშის ქვეშ ექვსი დუიმით იყო დაშორებული პისტოლეტს. შორია. როგორც წესი, უფრო ახლოს მიდევს ხოლმე. საინტერესოა, ზედიზედ რამდენ საათს შეუძლია იძინოს ადამიანმა, თუ მთელ თავის აზრებს მხო-

ლოდ ძილისკენ მიმართავს? განსაკუთრებით კი ადამიანმა, რომელსაც მაგრად არასდროს უძინია. სამი კვირა, ძილის სამი სავალდებულო, მაგრამ დაგვიანებული კვირა. ძილი აშკარა და გარდაუვალი საფრთხის გარეშე.

ბალიშის ქვეშ ჩემი განუყრელი მეგობარი, ცხრა-მილიმეტრიანი პისტოლეტი მედო. მუდამ თან მქონდა — პლაჟზე, აბაზანაში, საწოლში, სხვის საწოლშიც კი. სიკვდილისგან მიცავდა და ამიტომ მას არასდროს დავ-შორებივარ. ამაზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, არ ღირდა. მრავალ განსაცდელს გადავრჩენივარ და როგორმე დღევანდელ დღესაც გადავაგორებ-მეთქი, ვიფიქრე.

ტელეფონმა დარეკა. სამკვირიანი დუმილის იმედი მქონდა, მაგრამ ვინ გაცალა.

— ალო, — ჩავიბურტყუნე და ბალიშიდან თავი ავწიე.

— ჯინ?

— ჰო...

— ესე იგი, ჯერ არ წასულხართ. — ხმაზე შევატყვე, რომ შვებით ამოისუნთქა. ჩემი უფროსი იყო. საათზე დავიხედე. დილის ათი საათი იყო.

— არა, — მეც არ ვიცი, რატომ ვუპასუხე ასე, ქიბლმა ხომ უკვე ისედაც იცოდა, რომ წასული არ ვიყავი. საინტე-რესოა, რატომ ამოისუნთქა ასეთი შვებით? ლაპარაკი რომ გააგრძელა, მაშინღა მივხვდი, რაშიც იყო საქმე:

— მდინარეზე ხომ არ გაგვესეირნა?

ქიბლს მოტორიანი იახტა ჰყავდა სადღაც ტემზის ზემო წელში. ეს იახტა არასდროს მინახავს. ქიბლს თავისი იახტით გასეირნება ჩემთვის არასდროს შემოუთავაზებია.

— ეს მიპატიჟებაა თუ ბრძანება? — მთქნარებით ვკითხე.

— როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, — ოდნავი დაგვიანებით მიპასუხა ქიბლმა.

მაინც რა კაცი იყო! მისთვის ყოველთვის უფრო მეტს აკეთებდი, ვიდრე შეგეძლო.

— სად და როდის უნდა გამოვცხადდე?

— ჩემი ქალიშვილი გამოგივლით, ნახევარ საათში თქვენთან იქნება. ოჯახური პიკნიკია, ქალაქგარეთ, სანაოსნოდ ვიქნებით ჩაცმულები... თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ისე წამოხვიდეთ, როგორც ხართ.

— კარგი, — დავეთანხმე. „როგორც ხართ“. როგორი სანახავი ვიქნები: გაუპარსავი, ნიფხვის ამარა, ხელში პისტოლეტით. პიჟამით არასდროს მძინავს. უცებ წამოხტომა თუ მიხდება, პიჟამა სწრაფად ჩაცმაში ხელს მიშლის.

სანაოსნო კოსტიუმი... ჰმ... ალბათ, რუხ-მოყავისფრო ბამბის შარვალი და ზეთისხილისფერი ნეილონის პერანგი წავა-მეთქი, ვიფიქრე. როცა კარზე ზარის ხმა გაისმა, შარვლის ჯიბეში პისტოლეტს ვსინჯავდი. კაცმა არასდროს იცი, რა გელოდება კარს იქით. თუმცა სათვალთვალოში გავიხედე და ქიბლის ქალიშვილი დავინახე. კარი გავაღე.

— მისტერ ჰოუკინსი ბრძანდებით? — დაბნეულმა მკითხა და მზერა სპილენძის დაბინდულ ფირფიტაზე გადაიტანა, რომელიც მუხის კარზე ექვსი ხრახნით იყო მიმაგრებული.

— დიახ, — გავიღიმე. — მობრძანდით.

შემოვიდა და კარი დავკეტე. რა საინტერესოა, გოგონა მეოთხე სართულზე ამოვიდა და საერთოდ არ ქოშინებდა,

ჩემი სხვა ვიზიტორებისაგან განსხვავებით. საგანგებოდ დავბინავდი ამ სიმაღლეზე.

— ყავის სმას ვამთავრებდი. თქვენც ხომ არ მიირთმევთ? — შევთავაზე.

— გმადლობთ, მაგრამ მამამ მთხოვა, დრო არ დამეკარგა, ადრიანად უნდა მდინარეზე გასვლა.

ქიბლის ქალიშვილი ძალიან ჰგავდა თავის ფოტოსურათს, რომელიც მამამისს ჩარჩოში ჩადგმული ოფისის მაგიდაზე ედგა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ლამის სკოლის მოსწავლე. მოკლე, სქელი მუქი თმით, დაკვირვებული წაბლისფერი თვალებით, ტანსავსე, მაგრამ კარგი აღნაგობის, საკუთარ თავში დარწმუნებული უკარება გოგო. ცოტა არ იყოს, უხერხულობას გრძნობდა, რომ დილით უცნობი მამაკაცის ოთახში მოხვდა.

სასტუმრო ოთახს, რომელიც ელეგანტურობისაგან ძალზე შორს იყო, თვალი ლამის შეშინებულმა მოავლო. ავეჯს, რომლითაც ბინის პატრონს აქაურობა ჰქონდა გაწყობილი, ადრე ბევრი სხვა სახლი ჰქონდა მოვლილი. ჩემი ხელი ამ ავეჯს საერთოდ არ შეხებია. ჩემი აქ მხოლოდ წიგნებიანი თაროების ორი რიგი და უზარმაზარი სკივრი იყო, რომელიც წინა ბინიდან გადმომყვა. ეს სკივრი დღემდე არ ამომილაგებია. გადაწეული ფარდა სამზარეულოსაც აჩენდა. ბუფეტისთვის, მაცივრისთვის, პირსაბანისა და ქურისათვის თვალის შევლებაც კი საკმარისი იყო, რომ მათ სიძველესა და უვარგისობაში დარწმუნებულიყავით.

სასტუმრო ოთახიდან კარი საძინებელში გადიოდა, საძინებლიდან — სააბაზანოში, სააბაზანოდან კი — სახანძრო კიბეზე. ბინაზე უფრო ციხესიმაგრე იყო, მხოლოდ

წყლით სავსე თხრილი და ასაწევი ხიდი აკლდა. რამდენიმე კვირა ვეძებდი ასეთ ბინას. მეპატრონე განრისხდა, როცა გაიგო, რომ კარში სათვალთვალო დავაყენე. სამი თვის ქირის წინასწარ გადახდა მომიწია, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, რომ „საჭვრეტი“ იმისთვის არ მჭირდებოდა, რომ მას დავმალვოდი.

ინტერესით ვაკვირდებოდი, როგორ ეძებდა ქიბლის ქალიშვილი სასტუმრო ოთახში რაიმე თვალის გასახარელს, თუნდაც ერთ ნივთს, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ უიმედო საქმეს მოჰკიდა ხელი. მგონი, გოგონა ცოტა შოკირებული იყო, ეს სახეზეც ეწერა. შემეძლო მომეყოლა, რომ მანამდე შესანიშნავ ბინაში ვცხოვრობდი, დიდ, კომფორტულ ბინაში, რომლის აივანიც პატარა ბაღს გადაჰყურებდა, რომ იმ ბინაში ძალიან ადვილად მაგნებდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები და რომ იქიდან ბოლოს საკაცით გამომიყვანეს...

— ახლავე, ქურთუკს ავიღებ და წავიდეთ, — ვთქვი და ბოლო ყლუპი ყავა მოვსვი.

გოგონამ შვებით ამოისუნთქა და თავი დამიქნია, აშკარად ეტყობოდა, რომ ჩემი ცხოვრების სიცარიელემ გული დასწყვიტა. ხუთი წუთიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ყველაფერს მიმხვდარიყო.

საძინებელში გავედი, ქურთუკი ავიღე, შარვლის ჯიბიდან პისტოლეტი ამოვიღე და იღლიის ქვეშ დამაგრებულ ბუდეში ჩავიდე. მერე ფინჯანი გასარეცხად ნიჟარაში ჩავდგი, ხელზე ლაბადა გადავიკიდე, სამზარეულოში ფარდა გადავწიე, კარი გავაღე და მე და ქიბლის ქალიშვილი სადარბაზოში გამოვედით.